

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 9: საბრძოლო ინსტრუმენტები



პროფესიონალი ბუღალტრები (PAs) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეკოსისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტები არიან. დამნაშავეები მოგების მისაღებად ყოველთვის ინოვაციებისა და რისკების გაწევის წინა ხაზზე იქნებიან და როდესაც ისინი თავიანთ მიზანს მიაღწევენ, ბევრი მათგანი უკანონოდ მიღებული მოგების გათეთრებაში დასახმარებლად მიმართავს ისეთ პროფესიონალ „მცველებს/დარაჯებს“, როგორებიც არიან ბუღალტრები. საბედნიეროდ, პროფესიონალი ბუღალტრები ფლობენ საბრძოლო ინსტრუმენტებს. პუბლიკაციის ამ ნაწილში განხილულია ორი ასეთი ინსტრუმენტი: დამკვეთის გაძლიერებული დიუ დილიჯენსის ჩატარება და ფაქტობრივი და დასჯადი საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენა. აღნიშნული უნდა განიხილებოდეს არა როგორც კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფის ზომებად, არამედ როგორც ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენისა და პროფესიონალის ან ფირმის რეპუტაციის დაცვის ზომების მნიშვნელოვანი ელემენტად.

დამკვეთის გაძლიერებული დიუ დილიჯენსი (EDD)

პროფესიონალი ბუღალტრების სამართლებრივი და პროფესიული ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილია, დაადგინონ და დაადასტურონ მათი დამკვეთების ვინაობა. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა შეიმუშაონ რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მაღალი რისკის შემცველი სიტუაციებისთვის ითვალისწინებს დამკვეთის გაძლიერებული დიუ დილიჯენსის დამატებით ჩატარებას. დამკვეთის გაძლიერებული დიუ დილიჯენსი არის მაღალი რისკის შემცველი მომხმარებლის დეტალური გამოკვლევის პროცესი. იგი მოიცავს გამოვლენილი სპეციფიკური რისკების ხასიათთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მოპოვებასა და დადასტურებას. ამ რისკების გამოსავლენად და შესამცირებლად პროფესიონალ ბუღალტრებსა და ფირმებს დანერგილი უნდა ჰქონდეთ კონტროლის საშუალებები და პროცედურები.

გაძლიერებული დიუ დილიჯენსის ჩატარება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოსავლენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, იცავს პროფესიონალ ბუღალტრს კრიმინალურ საქმიანობაში უნებლიე გამოყენებისაგან და ასევე იცავს პროფესიონალი ბუღალტრის ფირმის რეპუტაციასაც. როგორც წესი, გაძლიერებული დიუ დილიჯენსის ჩატარება საჭირო იქნება მაღალი რისკის შემცველ შემდეგ სიტუაციებში:

- როდესაც თქვენი რისკზე დაფუძნებულ სისტემებისა და კონტროლის მექანიზმების მეშვეობით დაადგენთ, რომ მაღალი რისკი არსებობს;
- თქვენი დამკვეთი არის (ან ჰყავს ბენეფიციარი მესაკუთრე, რომელიც არის) პოლიტიკურად აქტიური პირი;
- მაღალი რისკის მქონე მესამე სამყაროს ქვეყანაში დაფუძნებულ პირთან ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობისას;
- დამკვეთმა წარმოადგინა ყალბი ან მოპარული დოკუმენტები;
- აშკარა ეკონომიკური მიზნების გარეშე განხორციელებული რთული ან უჩვეულო ოპერაციებისას.

გაძლიერებული დიუ დილიჯენსის საკონტროლო კითხვარი

- მოიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია დამკვეთის შესახებ (მაგალითად, საქმიანობა, აქტივების მოცულობა, საჯარო მონაცემთა ბაზებით ან ინტერნეტით ხელმისაწვდომი ინფორმაცია და სხვა.).
- ჩაატარეთ დამატებითი მიება (მაგალითად, ინტერნეტში მიება დამოუკიდებელი წყაროების გამოყენებით) დამკვეთის რისკის პროფილის უკეთ ფორმირებისათვის.
- მოიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია და დადასტურებული დოკუმენტაცია საქმიანი ურთიერთობების გამიზნული ხასიათის შესახებ.
- მოიპოვეთ ინფორმაცია დამკვეთის ფულადი სახსრებისა და გამდიდრების წყაროს შესახებ და ნათლად დაადასტურეთ იგი დოკუმენტებით.
- მოიპოვეთ ინფორმაცია დაგეგმილი ან შესრულებული ოპერაციების მიზეზებზე.
- უმაღლესი ხელმძღვანელობისგან მიიღეთ თანხმობა საქმიანი ურთიერთობების დასაწყებად ან გასაგრძელებლად.
- ჩაატარეთ საქმიანი ურთიერთობების გაძლიერებული მონიტორინგი გამოყენებული კონტროლის რაოდენობისა და დროის გაზრდით და იმ ოპერაციების ფორმის შერჩევით, რომლებიც საჭიროებს შემდგომ გამოკვლევას.
- ჩაატარეთ მაღალი რისკის მქონე დამკვეთებისა და ოპერაციების მონიტორინგი ყველა იმ განყოფილებაში, რომელსაც დამკვეთთან საქმიანი ურთიერთობა აქვს, პასუხისმგებელ გარიგების გუნდებთან გაძლიერებული ინსტრუქტაჟის ჩატარების ჩათვლით.

საეჭვო საქმიანობის ანგარიში (SARS)

პროფესიონალმა ბუღალტრებმა საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიში იმ შემთხვევაში უნდა წარუდგინონ ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს, თუ ეჭვობენ ან აქვთ გონივრული საფუძველი იქვე, რომ დამკვეთის ფულადი სახსრები კრიმინალური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებია ან დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან. ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის სტანდარტები მოითხოვს, რომ იურისდიქციებმა ეს პროცედურა სამართლებრივ მოთხოვნად აქციონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საეჭვო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა ცენტრალური ნაწილია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ პროფესიონალ ბუღალტრებს, შეებრძოლონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ ფულის გათეთრების თავიდან აცილებასა და გამოვლენაში. მაგრამ რა უნდა მოიმოქმედონ მათ ამისათვის?

როდის ხდება ანგარიშის წარდგენა: პროფესიონალმა ბუღალტრებმა საეჭვო საქმიანობის ანგარიში უნდა წარადგინონ დაუფინანსებელი, როგორც კი შეიტყობს ან იეჭვებს, რომ პიროვნება ჩართულია ფულის გათეთრებაში ან მართავს უკანონო ქონებას. იურისდიქციების უმრავლესობისთვის ეს მარეგულირებელი მოთხოვნაა. ასეც რომ არ იყოს, ეს მაინც საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა.

შინაარსი: პროფესიონალ ბუღალტრებს შეიძლება არ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მათ მიერ ანგარიშში ასახული საკითხების შესახებ. თუმცა, რაც უფრო მეტად დამადასტურებელია ინფორმაცია და მეაფიოდ არის ახსნილი ეჭვები, რომლის შესახებაც აცნობებთ სამართალდამცავ ორგანოებს, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ეს ორგანოები შეძლებენ ამ ინფორმაციის შედარებას სხვა ორგანოების საგამომიებო მონაცემებთან, რათა მაქსიმალურად გაზარდონ წარდგენილი ანგარიშების ღირებულება. ეჭვის მიზეზები მითითეთ ლაკონურად. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა გამოვლინდა და რატომ მიიჩნევა ეს უეჭვულოდ ან საეჭვოდ.

პროცესი: მიმართეთ ბუღალტრთა ადგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციას ან ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს. მათ შეუძლიათ სასარგებლო ინსტრუქციების მოცემა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარადგინოთ ანგარიში თქვენს იურისდიქციებში, რა ფორმები ან შაბლონები შეიძლება გამოიყენოთ და შესაძლოა ასევე მოგაწოდონ ელფოსტის/პორტალის მისამართი, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ანგარიშის წარდგენა.

ფინანსური მონიტორინგის ორგანოები (FIUs)

ფინანსური მონიტორინგის ორგანო არის ცენტრალური ეროვნული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საეჭვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, ანალიზსა და კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებაზე. თქვენი ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივი ორგანო იქნება ნებისმიერი საეჭვო საქმიანობის ანგარიშის მიმღები, ამიტომ მნიშვნელოვანია, ინფორმირებულები იყოთ შესაბამისი ორგანიზაციების შესახებ.

რას წარმოადგენს ფინანსური მონიტორინგის ორგანო და რისი გაკეთება შეუძლია მას, განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით, ადგილობრივი საკანონმდებლო ზაზის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ორგანო ან ერთ-ერთი დეპარტამენტი უფრო დიდ სამთავრობო/ადმინისტრაციულ ორგანოში. ბევრს მათგანს აქვს უფლებამოსილება „გაყინოს“ აქტივები ან მიიღოს აღსრულების მსგავსი ზომები, ხოლო უმეტესობა მათგანი აქვეყნებს რისკებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციას, რაც პროფესიონალი ბუღალტრებისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო იყოს.

ფინანსური მონიტორინგის ორგანოებისთვის საერთაშორისო ორგანიზაცია არის ჯგუფი ეგმონტი (Egmont Group). ეს კარგი ადგილია თქვენი ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივი ორგანოს იდენტიფიცირების პროცესის დასაწყებად და მის შესახებ მეტის გასაგებად.

საეჭვო საქმიანობის ანგარიშის საკონტროლო კითხვარი

- დაიცავით შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნის მარტივი თხრობითი სტრუქტურა.
 - შესავალი: თქვენი ვინაობა და საეჭვო საქმიანობის ლაკონურად ფორმულირება, 1-2 წინადადებით.
 - ძირითადი ნაწილი: დეტალურ სრულად (იხილეთ ქვემოთ).
 - დასკვნა: დეტალურად აღწერეთ თქვენი შემდეგი ნაბიჯები და მიუთითეთ, როგორ შეძლებს ფინანსური მონიტორინგის ორგანო თქვენთან დაკავშირებას.
- ძირითად ნაწილში დაცული უნდა იყოს 3C-ის პრინციპი: ნათელი (clear), მოკლე/ლაკონური (concise) და ქრონოლოგიური (chronological).
 - ვინ ახორციელებს კრიმინალურ ან საეჭვო საქმიანობას, მათ შორის ბუღალტრებსა და ექვემდებარებულ შორის ურთიერთობა, ამ ურთიერთობის ხანგრძლივობა და ექვემდებარებულის საქმიანობისა თუ წარსულის შესახებ ცნობილი ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.
 - რის გაკეთებას ცდილობს ექვემდებარებულის ჩაიდინა მან, რამაც ეჭვი გააჩინა, რატომ ფიქრობთ, რომ ეს საეჭვოა.
 - როდის ჰქონდა ადგილი საეჭვო საქმიანობას. ერთჯერადი შემთხვევებისთვის მიუთითეთ თარიღი. თუ მიმდინარე ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოხდა, აღწერეთ დროის პერიოდი, როდესაც საეჭვო საქმიანობა განხორციელდა.
 - სად ჰქონდა ადგილი საეჭვო საქმიანობას. დაადგინეთ საეჭვო საქმიანობაში ჩართული ან მასთან დაკავშირებული გეოგრაფიული რეგიონები, აქტივები, სამეურნეო სუბიექტები და საბუღალტრო ანგარიშები (რიცხვები და ტიპები).
- არ გამოიყენოთ ფორმისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, აკრონიმები ან ქარგონი.
- არ დაუთოთ რაიმე სახის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია მოცემული დროისათვის.
- შეინახეთ ანგარიში თქვენი იურისდიქციით მოთხოვნილი დროის პერიოდით. თუ თქვენი ადგილობრივი რეგულაციებით ეს გათვალისწინებული არ არის, 5 წელი კარგი პრაქტიკაა.
- ექვემდებარებულს არ აცნობოთ საეჭვო საქმიანობის ანგარიშის წარდგენის შესახებ. დარწმუნდით, რომ თავიდან აიცილებთ ინფორმაციის უნებლიე გამხელას. ეს არა მხოლოდ არასწორი საქციელია, არამედ ბევრ იურისდიქციაში ინფორმაციის გამხელა სისხლის სამართლის დანაშაულადაც მიიჩნევა.

დამატებითი დახმარება



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის [„სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტრების პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ“](#). ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტრთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 9: საბრძოლო ინსტრუმენტები“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 9: საბრძოლო ინსტრუმენტები“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2022], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 9: საბრძოლო ინსტრუმენტები“ - ქართულენოვანი ვერსია © [2022], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Anti-money laundering: The Basics – Installment 9: Tools to Fight Back*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org